ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №96

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2018 წლის 21 მაისს ქ. ტყიბულში

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის თემურ ჩუბინიძის სახით (რეკვიზიტები: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3. ს.კ. 219636259. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ.კ. TRESGE22) და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი მამუკა ფორჩხიძე (შემდგომში "მიმწოდებელი", რეკვიზიტები: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N35, პ.ნ.01030017495, სს თიბისი ბანკი, ბ.კ. TBCBE22 ა.ა.GE85TB7217145063600022) სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გასწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო–თითო ეგზემპლიარი გადაეცემათ ხელმომწერ მხარეებს.

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. შესყიდვის ობიექტია სოფელ ორპირში დაგეგმილი მასშტაბური ღონისძიებისათვის ხმის აპარატურის მონტაჟის მომსახურების მიწოდება (შემდგომში "მომსახურება").

1.2. ხმის აპარატურის მონტაჟი მოიცავს როგორც ხმის რეჟისურით მომსახურებას ასევე ღონისძიების საკუთარი გახმოვანების აპარატურით უზრუნველყოფას.

1.3. CPV კლასიფიკატორის კოდი 51313000

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1800,00 (ერთიათასრვაასი) ლარს

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელზე რგებას 1440,00 ლარსა და სასემოსავლო გადასახადს 360 ლარის ოდენობით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი და მომსახურების მიწოდების ვადა

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

შემსყიდველი

_____

მიმწოდებელი

_____

4.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველის და მიმწოდებლის წარმომადგენლების ხელმოწერით.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მირება-ჩაბარების აქტის ხელისმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ ჩუბინიძე.

4.4. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 24 მაისს.

4. მხარეთა უფლება მოვალეობები

5.1 შემსყიდველი ვალდებულია:

5.1.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.1.2. მომსახურების მიწოდების პროცესში დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

5.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

5.2.1. გახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.

5.2.2 მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

5.3.2.შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.3.3. მომსახურების მიოდების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.4 მიმწოდებელი უფლება აქვს:

5.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 1% - ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების 0.02%–ის ოდენობით.

6.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

7.ფორს–მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ

შემსყიდველი

მიმწოდებელი

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წინდების მიზეზების მითითებით.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ალეკო ბიბილაშვილი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტა მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 21 მაისიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულების შესრულების

კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.ტყიბული 21 მაისი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ სოფელ ოპირში დაგეგმილი მასშტაბური ღონისძიებისათვის ხმის აპარატურის მონტაჟის მომსახურების შესყიდვის მიზნით ფიზიკურ პირი მამუკა ფორჩხიძე-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი):

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის,

სპორტის, ახალგაზრდობისა და ტურიზმის განვითარების

სამსახურის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელი ალეკო ბიბილაშვილი.